საქართველოს მთავრობის
კანცელარია

CHANCELLERY OF THE
GOVERNMENT OF GEORGIA

GRASS REFORMANDA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 294
თარიღი: 2 10 2014 წ.

„საქართველოს რეფორმების ასოციაციას"

თქვენი 2014 წლის 15 სექტემბრის N608 განცხადებით მოთხოვნილ ინფორმაციასთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის კანცელარია შეიქმნა „საქართველოს მთავრობის კანცელარიის შექმნის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2004 წლის 3 მარტის N2 დადგენილების საფუძველზე, რომელიც, თავის მხრივ დაეფუძნა „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" 2004 წლის 11 თებერვლის საქართველოს კანონის თავდაპირველი რედაქციის მე-13 მუხლს. ამასთან, მითითებული კანონის გარდამავალი და დასკვნითი დებულებების, კერძოდ 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე დადგინდა საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის ლიკვიდაციის დავალებასთან დაკავშირებული საკითხები. გამომდინარე აღნიშნულიდან, მოკლებულნი ვართ შესაძლებლობას დავაკმაყოფილოთ თქვენი მოთხოვნა 2003 წელთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცემის თაობაზე. რაც შეეხება N608 განცხადებით მოთხოვნილ დანარჩენ ინფორმაციას, გაცნობებთ, რომ:

1. 2012 წლის 1 ოქტომბრიდან საქართველოს პრემიერ-მინისტრის მომსახურე ავტომობილი ტოიოტა ლექსუსი LX570 სახ. ნომრით: JRJ707 საქართველოს პრემიერ-მინისტრის ი. მერაბიშვილის 2012 წლის 2 ოქტომბრის N1306 ბრძანებით გადაეცა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას. 2012 წლის 4 ოქტომბრიდან დღემდე, საქართველოს პრემიერ-მინისტრს არ ემსახურება საქართველოს მთავრობის კანცელარიის ბალანზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალება. შესაბამისად, აღნიშნული დროის მონაკვეთისთვის სასურველი ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ, მიმართოთ სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს.
2. 2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 5 ივლისამდე საქართველოს პრემიერ-მინისტრს ემსახურებოდა 2010 წელს გამოშვებული ავტომობილი მერსედესი S500 სახ. ნომრით: OXO010 (საბალანსო ღირებულებით 201081.00 ლარი), რომელიც

საქართველო, 0114 თბილისი, ინგოროყვას 7
7 Ingorokva Str. Tbilisi, 0114, Georgia
ტელ/Tel: (+995 32) 2990900
www.government.gov.ge

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 04 სექტემბრის N1-/1727სს ბრძანებით გადაეცა სს „საპარტნიორო ფონდს“ (ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 156144.47 ლარი). 2012 წლის 6 ივლისიდან საქართველოს პრემიერ-მინისტრს ემსახურებოდა 2010 წელს გამოშვებული ავტომობილი ტოიოტა ლექსუსი LX570 სახ. ნომრით: JRJ707, რომელიც 2012 წლის 3 სექტემბერს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე ჩამოფასდა 39876.38 ლარით და საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 24 აგვისტოს N331 ბრძანებით ჩანაცვლდა 2012 წელს გამოშვებული ავტომობილით – ტოიოტა ლექსუსი LX570 სახ. ნომრით: JRJ707 (საბალანსო ღირებულებით 169014.00 ლარი).

3. 2004 წლის თებერვლიდან 2007 წლის 1 სექტემბრამდე საქართველოს პრემიერ-მინისტრს ემსახურებოდა საქართველოს მთავრობის კანცელარიის ბალანსზე რიცხული მერსედეს-ბენცის მარკის S კლასის ავტომობილი სახელმწიფო ნომრით TXT010, 2007 წლის პირველი სექტემბრიდან 2010 წლის 29 სექტემბრამდე – 2007 წლის მერსედეს S კლასი, სახ. ნომრით: OXO010, 2010 წლის 29 სექტემბრიდან 2012 წლის 6 ივლისამდე – 2010 წლის მერსედეს S კლასი სახ. ნომრით: OXO010, 2012 წლის 6 ივლისიდან 3 სექტემბრამდე – 2010 წლის ტოიოტა ლექსუსი LX570 სახ. ნომრით: JRJ707, 2012 წლის 3 სექტემბრიდან 4 ოქტომბრამდე – 2012 წლის ტოიოტა ლექსუსი LX570 სახ. ნომრით: JRJ707.

ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი **ილია ბეგიაშვილი**

№33056
30.09.2014